№ 116 ივნისი 5, სამშაბათი 1890 ივნისი 5, სამშაბათი № 116

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განცხადებისა სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


გაზეთი „ივერია“ პირველის ივნისიდგან წლის დამლევამდე ღირს 6 მან. და 50 კაპ.


## ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, па Мясницкой, домъ Спиридонова.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

**ლექსიკონი**

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

სრული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

ქართული თეატრი

(როსსის წარმოდგენები)

სამშაბათს, 5 ივნისს,

**დამნაშავის ოჯახი**

დრამა 5 მოქმედ. თხზ. ჯიაკომეტისა კორადოს როლს შეასრულებს როსსი.

ხუთშაბათს, 7 ივნისს,

**რომეო და ჯულიეტა**

რომეოს როლს შეასრულებს როსსი, ხოლო ჯულიეტასას—ქ-ნი პერი

შაბათს, 9 ივნისს

**ნერონი**

ტრაგედია 5 მოქმედ., თხზ. კოსსასი ნერონის როლს შეასრულებს ბ-ნი როსსი.

დასაწყისი 8 საათზედ.

დაკვეთილი ბილეთები დილის 12 საათამდე შეინახება. ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში დილის 10—2½ საათამდე და საღამოს 4½ საათიდგან წარმოდგენის გათავებამდე. ლიბრეტოები: ფრანგულს, იტალიანურსა და რუსულს ენაზე იყიდება თეატრის კასაშივე.

თეატრის ადმინისტრაცია მაყურებელ ქალებსა სთხოვს, რომ პარტერში შლაპები მოიხადონ.

ადმინისტრატორი ფორკატტი


## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რატილის ხორო იმზადებს ქართულს ტანისამოსს და უნდა ამ ზაფხულს წავიდეს რუსეთს კონცერტების გასამართავად. ამასთანავე ბ-ნმა რატილმა, ხელმძღვანელმა და ხოროს მმართველმა, გამოაცხადა აბონემენტი ხუთს კონცერტზე. ამათში ერთი გაიმართება ამ ახლო ხანებში და დანარჩენი ოთხი შემოდგომიდამ. სულ ხუთისავე წარმოდგენის ფასად სამი მანათია დანიშნული. ურიგო არ იქნებოდა, რომ ქართულს საზოგადოებას ხელი მოემართნა ხოროსათვის და მიეცა შეძლება რუსეთში გამგზავრებისა. როგორც შევიტყეთ, აბონემენტზე ხელის-მოწერა შეიძლება იუზბაშევის საკონდიტროში. პირველს კონცერტში ხოროს მონაწილენი ახალის ტანისამოსით გამოვლენ.

*** გუშინ, ამ თვეის 4, დილით, რკინის გზის საფოსტო და სახალხო მატარებელით გაემგზავრა ბათუმში ამის წინა დღეს ტფილისში ჩამოსული თეირანიდგან შვეციისა და ნორვეგიის საგანგებო ელჩი ფრიდრიხ ტრეშოვი სამივ სხვა წევრითურთ. ეს ელჩი სტოკჰოლმიდგან არის გამოგზავნილი შვეციის მთავრობის მიერ შაჰთან. სპარსეთის მბრძანებელმა სტოკჰოლმში ყოფნის დროს შვეციის მეფეს უბოძა ორდენი „შაჰის სურათით“, ბრილიანტებით მოჭედილი. ეხლა საგანგებო ელჩი იმიტომ არის გამოგზავნილი, რომ მის უდიდებულესობასა მადლობა უძღვნას და სამაგიერო ჯილდო გადაუხადოს. საგანგებო ელჩი ბათუმიდგან პირდაპირ ზღვით სტოკჰოლმს გაემგზავრება.

*** დღეს, ამ თვეის 5, დილით, ტფილისში დაბნელდება მზე. მზის დაბნელება დაიწყება დილის სამ საათსა და 55 წუთზე და გასტანს რვა საათსა და ორმოცდა-ათ წუთამდე. მზის დაბნელება იქნება ინდოეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სპარსეთსა და საქართველოშიაც. აქ სულ მთლად დაჰფარავს მზეს მთვარე, ე. ი. მზე მთლად დაბნელდება.

*** ჩვენ მივიღეთ სოხუმიდამ 20 მან. განსვენებულ დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. იყო დღემდე 709 მან. 72 კ. შესდგა ამიანად 729 მან. 72 კაპ.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ამბავი: წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის პედაგოგიური რჩევა გულითადს მადლობას უძღვნის ქ-ნ ანნა ნიკოლოოზის ასულს იოსელიანისას, რომელმაც შემოსწირა ამ სკოლის ბიბლიოთეკას 35 ცალი სხვა-და-სხვა თხზულება განსვენებულის თვისის მეუღლის პლ. იოსელიანისა.

*** წყნეთა (ტფილისის მაზრა): დიდი უბედურება ეწვია ჩვენს სოფელს. მაისის 29 და 31 სეტყვა მოვიდა და დიდად დააზარალა აქაურობა. საბრალო გლეხები აქამდე გახარებულნი შეჰყურებდნენ თავის ნათესობას და ამბობდნენ, რომ ამისთანა კარგი მოსავალი დიდი ხანია არა ყოფილაო, ამასობაში წამოესწრო სეტყვა და სამასის დღის ნახნავი ჭირნახული ერთიან დარეცვა. ასის დღისა ქერი იყო და ორასის დღისა პური, სალალოდ მოხნული. ამას გარდა სეტყვამ წაახდინა ბაღეულობა და ბოსტნეულობაც. აქაურნი სულ ერთიანად ხელ-ცარიელნი დარჩნენ და სულს აქეთ აღარა გაიჩნიათ რა.

*** იქიდამვე: პირველ უბედურებას მეორეც ზედ დაერთო. წარსულ მაისის 21-დგან ჩვენში რაღაც საქონლის ჭირი გაჩნდა, აქამდე უკვე 12 სული ინაცვალა და ავად კიდევ ბევრია. საქონელს თავ-პირზედ ყვავილსავით რაღასაცა ჰყრის და დაჭრიანებული პირუტყვი სულ ოთხ-ხუთს დღესა სძლებს. თუ ბეითალი საჩქაროზედ არ მოგვეშველეს და ჭირნახულით ხელ-მოცარულნი საქონლითაც დავზარალდით, მოვა წყალი და წაგვიღებს, ერთიანად დავილუპებით.

*** დიღომი (ტფილისის მაზრა): მავსა და ბნელს დღეს, 29 მაისს, ჩვენშიაც დაუშინა სეტყვამ და სულ ერთიანად ძირეგ-მორეგვა აქაურობა. ზარალი 7,000 მანათამდე იქნება. მცხოვრებნი დიდს სასოწარკვეთილებაში არიან.

*** ხევი: რაც უმაღლესმა მთავრობამ ხევიდგან ქისტის სოფლის გველეთის მცხოვრებნი აჰყარა და გადაასახლა აქედგან, ახალციხისა და ახალ-ქალაქის მაზრებში დასასახლებლად, მას აქეთ აგერ სამი წელიწადია და ხევის მკვიდრთაც მოეისვენეთ და თავისუფლად ამოვისუნთქეთ. ხევური ხარ-ცხენი ზაფხულობით თავისუფლად და უმწყემსოდ დასეირნობს მთეებში და ჩვენ თვითონაც კარ დაუკეტავ სახლებში გვძინავს ღამე.

*** იქიდამვე: მიწის მზომელის კომისიის მოსვლის ლოდინმა სწორედ გული გაგვიწყრილა. წარსულს შემოდგომაზე იყო ეს კომისია აქ და სულ სამი დღეც არ დარჩა; ალბათ თქვა, რომ მაისში მოვალო და ჯერ რაც არსად არის.

*** იქიდამვე: ყვავანა ხველა სამს სოფელში მძვინვარებდა აქეთ, როგორც გწერდით წინად, და ახლა კიდევ ორს-სამს სხვა სოფელშიაც იჩინა თავი.

*** მცხეთა: აქ, 3 მაისს, ხიდის მორევში დაირჩო ერთი აქაური მცხოვრებელი, რომელსაც მეტ სახელად კუნძი ერქვა. საცოდავის გადარჩენა ძალიან ადვილი იყო, რომ ან ნავი ყოფილიყო, ან გადასარჩენი რკალი, როგორიც ტფილისის ხიდებზე ჰკიდია. გლეხ-კაცი რამდენსამე წუთს ფართხალობდა მორევში, მაგრამ მიმშველებელი არსაიდამ არ გამოუჩნდა. ძალიან კარგი იქმნებოდა, რომ წყალში ხიფათისაგან გადასარჩენად დაარსებულმა საზოგადოებამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და იმ ხიდთან იქონიოს ნავი და რკალი, რადგან ამისთანა შემთხვევა აქ ხშირია.

*** გაგაგა: მაისის შუა რიცხვებში ერთი კაცის კლდა მოხდა კავკავში. ესე ღამის ცხრა საათი იქმნებოდა, რომ საბრალო გიგო (სომეხი იყო) მიდიოდა თურმე არხეინად თავის ბინაზედ. მიაწია თუ არა ფოსტის „კანტორის“ წინ, თერგის პირას, ცაცხვის ხეებით დაბურვილ ალაგას, აქ დაეცნენ ვიღაც ბოროტ მომ-

## ფელეტონი

### მოგონება

ნუ მიწყენთ, მომაგონდება
ქალის ვაჟისთვის ნათქომი:
„თუ შენ არ გჭედავ ცოცხალსა,
არც მე ვარ ცოცხლად დამჩომი!
ცოცხალი თან ჩამოგყვები,
საფლავში დაგეტანები;
შენ მკვდარს, შენთან მე ცოცხალსა,
დაე, დაგვიხშონ კარები!
მოვკვდები შენსა გულზედა,
ზევიდამ დაგეფარები:
მე შავსჭამ—მიწას არ ძალ-უძს,
რომ შეგიჭამოს თვალები.
მწადს ერთად შაზელილიყოს
ჩემი და შენი ძვალები!“
ორმა დღემ ჩამაიარა,
ზარი აჩქამდა გლოვისა.
კუბოს ასველებს ცრემლები
მანდილოსანთა გროვისა.
სატრფო დასტირის ჰაბუკსა,
ცრემლი სდიოდა ღვარადა,
გულიც ხომ უწუხდებოდა,
წყალსაც ასხამდენ კვალადა.
გულ-დაბნედილსა დიაცსა
აბრუნებდიან ძალადა.
მოზარეები კუბოთი
მიდგნენ სამარის კარადა.
უცვლელი ბინა ყველასი,
უცდის მკვდარს დასაფარადა.
კუბო ჩაუშვეს საფლავში
ცვივა ქვიშა და ლოდები.
—რა უყავ ფიცი, გოგონავ,
ჩაჰყვევ, ვის მეელოდები?
—სად გავყვე, ძმაო, რას ვარგებ,
მკვდარს რა უშველო იმითა!
არა, მე სიცოცხლე მინდა,
უნდა ვიცოცხლო ჭირითა.
ვიგონო ვარდი გულისა,
ვიტანჯო მოგონებითა.
რომ მოვკვდე მაშინ ვიქნები
დარდების მოფონებითა!
დაე, ვიცოცხლო ტანჯვითა,
ნაღვლით დავიწვა გულია,
დავიწვა, ვით კელაპტარი,
ხატის წინ ანთებულია...
ვიცოცხლო იმის მამგონედ,
ვინც გულს მაჩნივა წყლულია...
ერთს წელს გოგონა მიჯნურის
საფლავზე იარებოდა;
უნთებდა წმინდა სანთელსა,
შინავე ტრიალდებოდა;
საფლავის პირზე დაერგო
ყვავილნი ტურფა ფერისა,
ცრემლით ძოერწყო ვარდები
თვალთაგან მონაწურისა.
ეს ერთი წელიც გავიდა,
იცვლება დრო და ჟამია,
გოგოს სწადიან იპოვნოს
პირველის მსგავსი გვამია.
მსგავსი პირველის მიჯნურის
თვალ ითა, ტანადობითა,
მოკვეთეს ჰმოკვეთეობდეს,
მტერს ექმნას ჯალათობითა.
ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შევსობს შეხითა,
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ხაწყენობითა.
სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით,
უერთუერთისოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით.
ერთურთი სწყურიან ორთავე,
ერთურთთან დაილევიან;
უერთურთისოდ ვერ სძლებენ,
ძალედვე დაილევიან!

ვაჟა-ფშაველა

1890 წ.

### მეფე ერეკლე

(ერეკლეს ისტორიის ბოლო)

ჩვენ მოვახწიეთ ერეკლეს ისტორიის დასასრულამდე. რამ მოუღო ბოლო ამ სახელოვან მეფის მოღვაწეობას, რათ მოისპო თვით-არსებობა საქართველოს სამეფოისა? ამ გვარ საკითხავებზე ზოგიერთნი იმას ამბობენ, რომ საქართველო ისრე დალალულ-დაქანცული იყოვო, რომ მისი თვით-არსებობა ყოვლად შეუძლებელი-ღა შეიქმნაო. მართალია, ერეკლემ თუ უძლურ და დაბერებულ ქვეყანას ძლიერი სული შთაჰბერა და ააფეთქაო, მაგრამ ამ აფეთქებამ უძლური უფრო დააუძლურა და ბოლო მოუსწრაფაო. ხოლო საკუთრად ჩვენ-კი საქართველოს თვით-არსებობის მოსპობას ვაბრალებთ არა საქართველოს სიბერეს, მის უძლურებას, რასაკვირველია, არც ალა-მაჰმად-ხანს, რომელმაც ტფილისი აიკლო 1795 წელს, არამედ სულ სხვა მიზეზებს.

უმთავრესი ამ მიზეზთაგანი, გარდა პოლიტიკურ საქმეების არევ-დარევისა და საქართველოს მტერთა გამრავლებისა, იყო ერეკლეს ოჯახობის განწყობილება.

ერეკლე გარეშე მტერთა „თავ-მტეხი და განმბნევი ტვინისა“ იყო და სამეფოს შინაურ მტრებსაც, ქვეყნის არევის მოწადინეთ, სასტიკად ეპყრობოდა, ხოლო უბედურობა ის იყო, რომ ქვეყნის ერთობისათვის ასრეთი თავ დადებული კაცი ფრიად სუსტი მამა იყო. გარედ იგი ძლიერი სარდალი იყო, ხოლო თვის ოჯახში—ცოლ-შვილის მონა. გარეშე ქვეყნის მოღალატეთ, მეამბოხეთ დაუნდობლად ჰკლავდა, ქლეტავდა, ამავე დროს თავის თავ-გასულ შვილებს სრულიად ყურადღებას არ აქცევდა. ერეკლე ჰხედავდა, რომ მის ოჯახში შფოთია, დრტვინვა, უთანხმოება, ძმათ სიძულვილი, მაგრამ ამ გვარ ყოფას იგი ან ყურადღებას არ აქცევდა, ან და ურჩ შვილისთვის შემოწყრომით ათავებდა საქმეს. ჩვენის ულრმესის ფიქრით, საქართველოს სამეფოს დანგრევა აქედგან იწყება და არა ალა მაჰმად-ხანისაგან ქვეყნის აოხრებითა ანუ საქართველოს მოღალატეთა და სიბერით.

ერეკლემ იცოცხლა 1798 წლამდის. იგი ამ დროს 80 წლის მოხუცი იყო. ჰყვანდა მრავალი შვილები, შვილი-შვილები და დიდი ნათესაობა ქართლის უწარჩინებულეს მებატონეებიდგან მოყოლებული იმერეთის მეფისა და სამეგრელოს მთავრობამდის,

ქმედნი, დასცეს თავში რაღაც მძიმე ქვა თუ რკინა და იქვე წააქციეს ცოცხალ-მკვდარი; ავაზაკებს გამოეჭრათ მარცხენა იღლიის ჯიბე, (ამბობენ ოცი თუმანი ჰქონდა გიგოს უბეში), შემოეხსნათ ვერცხლის ქამარი და საათი და გაქცეულიყვნენ. პატარა ხანს უკან, საბრალო გიგოს წააწყდნენ გზად მიმავალნი; რომ ნახეს საცოდავად ნაბობღი გიგო, პოლიციას აცნობეს. პოლიციამ ფიცხლავ ეტლში ჩასვა და წაიყვანა თავის ბინაზედ. ორი სამი მკურნალი მოიყვანა და სთხოვა, ეგებ ისეთი საშუალება ეხმარათ, რომ ხმა ამოეღებინებინათ როგორმე, მაგრამ, ყოველივე ცდა ამაო იყო, გიგოს ტვინი კეფიდან ამოსდიოდა, ენა ჩავარდნილი ჰქონდა. მხოლოდ თითებითღა ანიშნებდა, ვითომ სამნი იყვნენ და მეოთხე მე ვიყავიო. ამბობენ, იქნება ნაცნობებმა მოჰკლეს გიგო ფულის გულისთვისაო. საბრალომ საღამოზედ დიდის წვალებით განუტევა სული.

** **ბესლანის სადგური** (კავკავის მაზრა) ოცდა-სამს მაისს, ღამის ათ საათზედ, როსტოვიდგან მომდინარმა მატარებელმა გაჭყლიტა, ბესლანის სადგურიდამ მესამე „ბუტკის მცველი“. საბრალოს ზედ გზაზედ დასძინებოდა და შუაზედ გადაეჭრა მატარებელს.

** **ბარის-ახევთი.** აქ მაისმა მშვენიერი ამინდებით გაიარა, ხან-გამოშვებით წვიმა არ მოგვკლებია; სიმინდის თესვას მორჩნენ ბარის-ოსები; ბარის და სათიბებს მშვენიერი სასიამოვნო პირი უჩანთ ჯერ-ჯერობით. აქა-იქ სოფლებში წითელამ იჩინა თავი, თუმცა ჯერ ზარალი არა მოუტანია-რა.

** **გაგკაგი:** 30 მაისს კავკავიდამ შვიდის ვერსის სიშორეზე გერმანელებთა კალონია საშინლად დაისეტყვა. საღამოთი, საათის ხუთი იყო, რომ ჯერ დაიწყო მსხვილი წვიმა, წვიმას თან მოჰყვა სეტყვა, და ყანები და ბაღახი მიწასთან გაასწორა. შემდეგ სეტყვამ გადიარა ქიშტების მინდვრებისაკენ.

** ივნისის 1, დილის $11^1/_2$ საათზე, პოლიციის პირველს ნაწილში, მოსკოვის ბაღკაში, ტერ-სააკოვის სახლში, როცა სახლის საძირკველისათვის თხრილსა სთხრიდნენ, მოირღვა მიწა და ქვეშ მოიყოლია სამი მუშა: კარაპეტა და პეტრა არუთინოვები, იაკობ ლარიბოვი და აგრეთვე თვით სახლის პატრონი ტერ-სააკოვიც. მალე ააცალეს მიწა და ყველანი მშვიდობით გადარჩნენ.

—

შეცდომის გასწორება: გუშინწინდელს ლექსში „იმედი საზიაული“ შეპარულა შეცდომები: სტრ. 46—47; სიტყვას „ლოდები“ უნდა მიემატოს ბოლოში ასო „თ“. აგრეთვე სტრ. 47, სიტყვა „მორევა“-ს მაგივრად, უნდა იყოს სიტყვა „მისევა“.

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. თილვა** (ზემო ქართლი). თითქმის არა ვართ მომდურავი ჩვენც ჩვენის ბედისა; თუმცა-კი შარშან ყოვლის მხრით ნაკლები წელიწადი გვქონდა, მაგრამ წელს-კი, იმედია, ცოტა მაინც არის სული მოვიდგათ. ღვთით დარებიც კარგი დაგვიდგა; ხვნით ყველამ გული იჯერა: შეძლებულმან თუ შეუძლებელმა. ახალ თესლები დროზედ მოასწრეს. რაც მარტმა და აპრილმა დაგვაკლო, ის მაისმა შეგვითავა თავის ზომიერისა და რიგ-რიგის წვიმებითა, ასე რომ სანახავადა ღირს აქაური მოსავალი. ძველი და ახალი თესლი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ერთმანეთს არ უვარდებიან სიმშვენიერით და სიკეთითა. სიმინდსაც კარგი პირი უჩანს, ვენახებს თქმა აღარ უნდა, თუ ღმერთმან გვაჩუქა და ან-კი რას გვემართლება ჩვენ მაინცა, ის დაღოცვილი, როდესაც მისთვის არა ვზოგავთ ჩვენს ავლა-დიდებასა და ვამშვენიერებთ ჩვენისავე სოფლის ყოვლად წმინდა ღვთის მშობლის მიძინების ტაძარსა, რომელიც არის აღშენებული მეთორმეტე საუკუნეში დიდებულის თამარ მეფისაგან. თილვის პატარა მრევლმა, რომელიც სულ სამოციოდე კომლამდე იქნება, მოიწადინა თავისის ფრიად შესანიშნავის ისტორიულის ცხოვრებით ტაძრის განახლება. თვით ექსპედიციის წევრთა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებისა, რომელნიც დანიშნულნი არიან გასასინჯავად და დასაბეჭდად კავკასიის ისტორიულ ნაშთთა, გრაფინია უვაროვას თავმჯდომარეობით გასინჯეს თილვის ეკკლესია შარშან, ცნკენისთვის 18 ს. ძვირფასი სტუმრები უკებ გვეწვივნენ საღამოს ხანზედ; იმ ღამეს დარჩნენ სოფელში მღვდელთანა და მეორე დღეს დილით ადრიან შეუდგნენ ტაძრის აღწერას დაწვრილებით და გულ-მოდგინედ. ერთმა წევრთაგანმა, თვით ასულმა გრაფინიასამ, ინება აპრძანება წინადვე გამზადებულ ხარაჩოზედ, რომელზედაც ბევრს კაუჭირდებოდა ასვლა, ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრივ ტაძრისა, ზემო სართულში, სადაც არის დატანებული ჩუქურთმიანი თლილი ქვის კრები და ზედ ერთიანი ვარაყიანი ქვა, შუაზედ ჯვარით და აქეთ იქით ხუცურის ასო-მთავრულის წარწერით — და გადიღო ნაწერი ესე სულ ხუთი-ათის წამის განმავლობაში და დღესაც არ უწყით, რა ეწერა და ან რას მოგვითხრობს ეს ნაშთი*). როგორც გარედგან ოთხკუთხივ, ისე შიგნიდგან გადიღო სახე მხატვარმა, რომელიც თან ახლდა კომისიას. დაუვიწყარ სტუმრებს ძალიან მოეწონათ ტაძარი თილვისა და ძლიერ გულ-მოდგინედაც აღწერეს იგი: არ დარჩა კუთხე, რომ არ გაესინჯოთ და არ დაეზომოთ. დაათვალიერეს რა ყოველივე, სცნეს საჭიროდ და სასარგებლოდ მისი განახლება. ამ ტაძრის განახლების თაობაზედ უფრო დაწვრილებით და დალაგებით მოველაპარაკები მკითხველს შემდეგში, მხოლოდ ამასაც-კი მოგახსენებთ, რომ ამ თვის 11-ს მობრძანდა ჩვენს სოფელში ქალაქიდგან მათი ბრწყინვალება გენერალ-მაიორი, პატივ-ცემული ჩვენი მებატონე თავადი მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბი. ეს კეთილ-შობილი კაცი გახლავთ დანიშნული და დამტკიცებული მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ თავმჯდომარედ ჩვენის ტაძრის განახლებისა და განმშვენიერების კომიტეტისა. მათ ბრწყინვალებას თან ახლდნენ პრაპორჩიკი თავადი გიორგი ფალავანდიშვილი და თავადი ლევან ამირეჯიბი. პატივცემულ სტუმრებსა ქალი თუ კაცი მრავალი დახვდა. მობრძანდნენ თუ არა, უმალვე დაათვალიერეს ჩვენი ეკკლესია, რომელზედაც გაცხარებით მუშაობენ ბერძნები. რაც გაკეთებული საქმე დახვდათ, ძალიან მოიწონეს და კეთილ ინებეს მისი წარმატება. ხალხსაც დიდი მადლობა გამოუცხადა მეცადინეობისათვის და შრომისათვის, რომ იგინი არა ზოგავენ არასფერს თავიანთის ეკკლესიის განშვენიერებისათვის და აღსადგენლად ამისთანა ძველის ნაშთისა და მოწამისა დიდებულის თამარ-მეფის დროისა—სწირავენ ყოველ ნაირ შესაწირავსა. თ. ამირეჯიბმა ძალიან გაამხნევა ხალხი თავის ტკბილის და მამაშვილურის დარიგებითა და უთხრა, გარდა იმ 20 თუმნის მცირე შემოსაწირავისა, რომელიც მე შემოვწირე თქვენს ეკკლესიასაო, კიდევაც მრავალს სხვა შემწეობას აღმოგიჩენთო, ოღონდ თქვენ გამხნევდითო. ამასთანავე ახარა სოფელს შემდეგი სასიხარულო ამბავი: მე და თქვენმან დედელმან ვინახულეთ მაისის ექვსსა მათი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა არქიეპისკოპოსი პავლე, რომელსაც მოვახსენეთ ყოველივე გაჭირვება და გარემოება ამ ოქმენის ეკკლესიისა და რა მოისმინა ჩვენი მოხსენება, ბრძანა: «რადგან საქმე მაგნაირად ყოფილა, მეც ჩემის მხრით, გარდა იმ ოცდა ათის თუმნისა, რომელიც ადრევე დაწყებისამებრ საქმისა, შემოვსწირე თილვის ეკკლესიას მართლ-მადიდებლის სარწმუნოების აღმადგენელის საზოგადოების ფულიდამ, ეხლა კიდევ შემომიწირავს ოცი თუმანიო (200 მ.) და ვითომ ვ «სინოდალნი კანტორის» წევრთა, რომ იმათაც მოიწადინონ ეს საქმეო. ამაზედ გულითადი მადლობა მოვახსენეთ მათ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას. ამ ამბავმა ძალიან გაამხნევა ხალხი და ერთიორად მისცა იმედი. არ იცოდა ხალხმა, თუ რა რიგად ანუ ვისათვის განეცხადებინა თავისი გულწრფელი მადლობა ამისთანა მოწყალებისათვის და მხოლოდ ამას ეუბნებოდა მათ ბრწყინვალებას: „თქვენი ჭირიმეთ, თქვენი, ბატონო, თქვენა ბრძანდებით ჩვენი სიცოცხლე და ნუგეში: თქვენით გვიდგია ჩვენ საწყალთა სული და თქვენ იცით, როგორც გვპატრონებთ“... ორი საათი დაჰყო მათმა ბრწყინვალებამ ჩვენს სოფელში და წაბრძანდა. დაგვპირდა, რომ მაისის შემდეგ ხშირად დაგვათვალიერებთ ხოლმეო...

სანდრო

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ოთხს თუმანს და გთხოვთ გარდასცეთ ნაწვარი, ესე იგი, ოცი მანათი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და ოცი მანათიც განსვენებულ დიმ. ზ. ბაქრაძისთვის დაარსებულ ფონდისათვის. სია იმათი, რომელთაც დიდის სიამოვნებით შემოსწირეს ამ კეთილს საქმეს:

საზ. ხრი. თურქია 2 მან., ფედოს. თურქია 1 მან., კონ. შანტურაია 1 მან., ბეგ. ბ. თურქია 2 მან., ევგ. ს. თურქია 1 მან., მან. გაბუნია 1 მან. ზოდოს. გრ. ცლარიანც 3 მან., ალ. შილაია 40 კაპ., ორ. ო. კარანაძე 30 კაპ., ლევ. სიჭინავა 1 მან., კოს. დავითაია 1 მან., ს. ზაკერაძე 20 კაპ., ტარიელ. ხარბედია 20 კაპ., ბ. გუგუშვილი 40 კაპ., კალ. მიმინოშვილი 15 კაპ., სპ. კაჭარავა 25 კაპ., ზახ. მ. გაბუნია 1 მან., გიორგ. გვალია 1 მან., ნ. კრემლიშვილი 40 კაპ., ა. სულუხია 20 კაპ., სპ. მიმინოშვილი 1 მან., კ. ბალასოვი 10 კაპ., ა. აღანია 20 კაპ., ბ. ხარებავა 10 კაპ., ფ. თენიეშვილი 20 კაპ., მ. ხომერიკი 20 კაპ., სტგ. ს. თურქია 3 მან., გ. გურასანიძე 50 კაპ., ბ. ფიცხელავა 20 კაპ., იო. ზახტაძე 20 კაპ., იაკობ ს. გვაზავა 1 მან., მ. ჯღანჯღავა 30 კაპ., ს. ფორჩხიძე 20 კაპ., ი. ჯღანჯღავა 20 კაპ., გ. სუხაია 20 კაპ., ელენე გა-

---

ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძმათ დასდასად გაეყოთ მთელი საქართველო. ყოველი ძმის ინტერესს იცავდნენ მისნი პირდაპირნი ნათესავნი ცოლის მხრით. ასეთი დას-დასობა თვით ერეკლეს დროსვე არსებობდა. დასდასობა უფრო განაძლიერა იმ გარემოებამ, როდესაც 6 მარტს 1794 წელს ერეკლემ ბატონიშვილებს საუფლის-წულოები განუჩინა: გიორგის მისცა ყაზახ-ბორჩალო, იულონს გორი, ვახტანგს (ალმასხან) არაგვი და სხ. თუ რა ნაირად აირ-დაირია ერეკლეს ოჯახობა ამ განაწილების შემდეგ, ამას ცხადად ვხედავთ შემდეგის გარემოებიდამ.

საუფლის წულოების გაყოფის დროს ბატონიშვილი თეიმურაზ ჯერ 15 წლისა იყო. მას წილი არ გაუღეს. ერეკლემ ბძანა, რომ თეიმურაზს ეცხოვრა ძმას ალმასხანის საუფლის-წულოში. თეიმურაზიც გაემგზავრა არაგვისკენ. მაგრამ ძმამ არ მიიღო. არაგვის ხევსლები მიიბირა და ძმას უკმეხად, თოფის სროლით დაუხდევა. თეიმურაზი დაბრუნდა მჭადის და ჯვარში დადგა, ერეკლე განრისხდა და ალმასხანის გამოდევნა დააპირა. მაგრამ შუაკაცებმა შეარიგეს. თეიმურაზი-კი მაინც ტფილისსვე მოიქცა.

ის კაცი, რომელიც საქართველოს ერთობისათვის არაგვისა და ქსნის, საუკუნოებით განმტკიცებულ, ერისთვებს უსპობს უფლებას, მემკვიდრეობას, ასრე ლმობიერად ეპყრობა ალმასხანს! პაატა ბატონიშვილი ან სხვა რომელიმე მოწინააღმდეგე რომ ყოფილიყო ალმასხანის მაგიერ, რასაკვირველია, სახსენებლა არ ასცილდებოდა. ალმასხანი-კი ისევ არაგვის მმართველად დასტოვეს!

უფლის წულებს თავის საუფლისწულოში მეფური უფლება ჰქონდათ. თავის ნებით ნიშნავდნენ მოურავებს, სახლთ-ხუცესებს, თავის ნებით გამოჰყავდათ ჯარი და სხ.

უდიდესი და ქვეყნის დამღუპველი შუღლი ძმათა შორის წარმოსდგა მემკვიდრეობის გამო. ძმანი მამის სიცოცხლეში ცდილობდნენ თუ ვის უნდა ხვდეს მემკვიდრეობა. კანონიერი მემკვიდრე იყო გიორგი. (ერეკლეს მეორე ცოლის შვილი). ხოლო მესამე ცოლის შვილები გიორგის მემკვიდრეობაზედ თანხმა არ იყვნენ. დედოფალი დარეჯან ამ საქმის მოთავე იყო. ამას ერეკლეს შემდეგ მეფობის მიცემა იულონისათვის უნდოდა, რის გამო ისე შეიძულა გერი გიორგი და ამ გერმა დედი-ნაცვალი, რომ ერთმანეთთან შეძომწყრალები იყვნენ.

იოსელიანის თქმით, ცხადი ურჩობა მემკვიდრის გიორგისა პირველად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ერეკლემ მოსპო და ბოლო მოუღო ქსნისა და არაგვის ერისთვებს. ამ საქმის თაობაზედ სახელმწიფო რჩევამ ოქმი რომ შეადგინა, გიორგიმ ხელი არ მოაწერა და ბეჭედი არ დაასო. ერეკლემ ამისთვის ჰკვედრა შვილსა და იძულებულ ჰყო ბეჭედი დაესვაო. ამას იმიტომ ჩადიოდა გიორგი, რომ გაჭირვების დღეს მოსარჩლენი და მომხრენი ჰყოლოდა წინააღმდეგ ძმათაო. შემდეგ ერეკლემ რომ მოღალატენი პაატა და სხვანი დასაჯა და დაიბეჭდა ზემორე ხსენებული „Исторія георгіанская“, რომელშიაც ერეკლე ძაგებულ და გიორგი ქებულ იყო, მაშინ გიორგის ძრიელ იამაო. ამ წიგნის საქართველოში გავრცელება ერეკლემ აღკრძალა; ხოლო გიორგიმ-კი წინააღმდეგ ამისა, ეს წიგნი გადმოათარგმნინა და წაიკითხაო [1]).

[1]) იხ. მეფე გიორგის ცხოვრება, გვ. 94—96

ამ გარემოებით აიხსნება ის შემთხვევაც, რომ ასპინძის ომში, როგორც მოგვითხრობს ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი განზე გადგა და დიდ გაჭირების დღეს მამას არ შეეშველა. აგრეთვე ის ამბავიც, რომ აღამაჰმად ხანის მოლოდინის დროს, გიორგი, იმის მაგიერ, რომ, მამის ბძანებისამებრ, ქალაქისკენ წამოსულიყო, შთაიკეტა სიღნაღში და ქვეყნის განსაცდელისთვის გული არ შეიტკივა.

ყველა ამ გარემოებას, თანახმად ქართულის წყაროებისა, მოგვითხრობს ბუტკოვიც.

საუფლის-წულოების გაყოფის შემდეგაო (6 მარტიდამ 1794 წლისა), მთელი საქართველო ხელში ჩაუვარდათ ბატონიშვილებს. დარეჯანის შთაგონებით, ბატონიშვილნი სახელმწიფოს სარგებლობაზედ აღარ ფიქრობდნენ. პირიქით ყოველმა განაძლიერა თავისი ბანაკი, დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და მით სახელმწიფოს ძალას ასუსტებდნენ. ერეკლეს მხნეობა მოაკლდა, დაიღალა. დარეჯანის გავლენა გაძლიერდა. დარეჯანი იმის ხრუნვაში იყო, რომ გიორგისთვის მემკვიდრეობა ჩამოერთმია და თავის შვილის იულონისთვის დაემკვიდრებინა.

ამ ყოფაში რომ იყვნენ ბატონიშვილები, ერეკლეს წაეჩხუბა აღა მაჰმად ხანი. ამ კაცმა 1795 წელს მთლად დაიპყრო სპარსეთი და მისი ბრძანებელი შეიქმნა, შემდეგ არდებილში შეაგროვა დიდი ჯარი (100,000 კაცამდე). ამ ჯარის თავხანის გამგებლად ფრანგები გაამწესა. აღა მაჰმადს აზრად ჰქონდა, რომ მხედრობა ადერბეიჯანს წამოეყვანა, მიემხრო განჯისა, შუშისა, ერევნისა, თალიშისა და სხ. ხანები, აგრეთვე დაღისტნის ომარხანი და მერე მოსდგომოდა ერეკლეს, რომელიც აღა-მაჰმად ხანის სპარსეთში გახელმწიფებას უარ ჰყოფდა, ხოლო აღა-მაჰმადს-კი უნდოდა არა თუ ერეკლეს მისი ხელმწიფება ეღიარებინა, არამედ მისი ყმობაც ეკისრნა.

ერეკლეს აღა-მაჰმადის კადნიერება ფრიად ეწყინა, მით უმეტეს, რომ ამ სახანოებიდამ აქამდის კარგი შემოსავალი ჰქონდა, სახელდობრ: შუშის ხანისაგან 120,000 მან., ერევნის ხანისაგან 200,000 მან. და განჯის ხანისაგან 50,000 მან. ყოველ წლივ. ამ ყოფაში ერეკლეც თადა-

ზუნიასი 2 მან., თემ. გაზუნის 1 მან., გოგრიჩიძე 2 მან., გიორ. თურქია 1 მან., ნესტ. მასხარაშვილი 1 მან., ლევ. რატიანი 1 მან., თემ. ხურცია 50 კაპ., მღვდ. ლავრენ. კვიჭია 1 მან., ალ. დ. თურქია 1 მან., ალე. სიჭინავა 1 მან., გიორ. ჭავჭავაძე 1 მან., ა. ჭითავა 50 კაპ., ს. ბაქრაძე 40 კაპ., აგ. თენიეშვილი 30 კაპ., ს. მავროშელი 35 კ., პ. ბ. დავითაია 40 კაპ., ბ. ოდიშარი 20 კაპ., ს. შარტავა 50 კაპ., ზ. ი. გ. 10 კაპ.

სულ შეადგენს ორმოც მანათს და შვიდ შაურს (40 მ. 35 კ.), ფოსტის ხარჯია 35 კ. და იგზავნება 40 მან.

საჩინო ხ. თურქია

## უცხოეთი

ინგლისი. პარლამენტმა კიდევ არ შეიწყნარა წინადადება გვირაბის გაკეთებისა ინგლისისა და საფრანგეთის ნაპირების შესაერთებლად. გლადსტონმა თუმცა მომხრეობა გაუწია ამ გვირაბის კანონ-პროექტს, მაგრამ ამანაც არ უშველა საქმეს. გლადსტონმა სთქვა, რომ ტყუილად გააზვიადეს, ვითომ საშიშია, რომ საფრანგეთი დაგვესხმის თავს, თუ გვირაბი გაკეთდაო. მაგისი საფრანგეთს უფრო საბუთი აქვს ეშინოდეს, ვიდრე ინგლისსაო. ინგლისელები 10-ჯერ მეტად შეესივნენ საფრანგეთს, ვიდრე ფრანგები ინგლისსაო. კანონ-პროექტი უარ-ყოფილ იქმნა 234 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 153.

საფრანგეთი. 24 მაისს დეპუტატთა პალატას წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრმა კანონ-პროექტი ღარიბთა სამოწყალოდ ბიუროების დაარსებისა თითოეულს კომუნაში. ბიუროს უნდა ჰქონდეს სია იმათი, რომელნიც უნდა იქმნენ გაკითხულნი ავადმყოფობაში. უნდა ჰქონდეს სია აგრეთვე იმათი, რომელთაც არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ მოეძებნებათ და რომელთაც უნდა ეძლიოთ ყოველ წლივ შემწეობა.

— ჰერცოგ ორლეანელის პატიე-უკან დაეიხიოთო. ზოგიერთნი ბრძობისა და შეწყალების გამო, ფრეისინეს ჰკითხეს, რითი იხელმძღვანელა მთავრობამ მაგ საქმეში, საპოლიტიკო მოსაზრებითა, თუ გრძნობითაო. რაკი მთავრობამ მოწყალება მიილო ჰერცოგ ორლეანელზე ისიც უნდა ახსოვდეს, რომ საპატიმროებში ამწყვდევიან ოჯახის პატრონები, მსხვერპლნი სოციალურის მოუწყობლობისანი, რომელთაც ის ბედნიერებაც არა აქვთ, რაც პირუტყვებს ახარებს, არ შეუძლიანთ თავიანთი შვილები გამოჰკვებონო (ტაშის გვრა ასტყდა უმწვერვალეს მემარცხენეთა შორის). ფრეისინემ უპასუხა ზემოხსენებულის მთქმელს დიუმეს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს ეგ აზრი მოუვიდა, როცა იმ ქვეყნებში გაიარა, სადაც ჰერცოგი იყო დაპატიმრებულიო. მთავრობამაც თანაუგრძნო ამ აზრს, მით უმეტეს, რომ მაგ საქმეში საპოლიტიკო არა იყო-რა. თეზერელის ამბავი ძალიან გააზვიადეს. რესპუბლიკა საკმაოდ ძლიერია, რომ ეშინოდეს მოწყალების აღმოჩენისა. იგივე მოწყალება შეეხება და შესაძლოა შემდეგშიაც შეეხოს ბევრს სხვა გვარს დამნაშავესაცა. პალატა კარგს იზამს, თუ ამ ლაპარაკს იმით დააბოლოვებს, რომ ახლა სხვა მორიგს საქმეებს შეუდგება. 313 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 194 პალატა შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას.

— გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ჰერცოგის ორლეანელისა:

ჩემ ტოლ ჯარის-კაცებად გამოსაწვევთა მიმართ.

„სასურველნო მეგობარნო, მე გამოვაცხადე, რომ მსურს ჩემი ვალი სამის წლის სამხედრო სამსახურისა შევასრულო მეთქი. პასუხის მაგიერად აილეს და ციხეში დაპატიმრება გადამიწყვიტეს ორის წლით. მე არ დამიჩივლია ამის გამო. ახლა, ვალის შესრულებამდე, სამზღვარ გარედ მგზავნიან. შეწყალება და პატივება კვლავ დამიბრუნებს განდევნილობის ვაება-მწუხარებას. ერთს დაპატიმრებას ახლა მეორე დაპატიმრება მოჰყვება. ჩემი სურვილი-კი ისევ შეურყეველია. ვერაფერი ვერ ამოფხვრის ჩემს გულში იმედს, რომ ოდესმე მაინც ვემსახურო ჩემს მამულს. ის ადგილი, რომელიც მე მინდოდა დამეჭირა თქვენ შორის, თქვენს ახლო, დროშას ახლო, ჩემთვის შეინახეთ, მოვალ და დავიჭერ“.

## წვრილი ამბები

### აზროვნობა და მოძრაობა.

ყველას გაუგონია ამ გვარი სიტყვები: „სიჩქარით საქმე არ გაკეთდებაო“, „ასჯერ უნდა გაზომო და ერთხელ გამოსჭრაო“, „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსაო“ და სხ. ხანგრძლივის გამოცდილებითა და და გამოკვლევით შეუმჩნევია და შეუგნია ხალხს ეს ჭეშმარიტება, მაგრამ იმისი მნიშვნელობა აქამდის არავის ესმოდა; მხოლოდ ეხლანდელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს მისი სიღრმე და სიგანე და დაამტკიცეს მასა და ბევრის სხვა მოვლენის მსგავსება და ნათესაობა. აზროვნობას, ფიქრს მსგავსება აქვს თურმე, მაგალითებრ, სინათლესა, სითბოსა და სხვა საგნის რყევასა და ძვრასთან, ერთის სიტყვით, ყოველგვარ მოძრაობასთან.

აიღეთ რკინის გრძელი მავთული და ერთი ბოლო გალვივებულ ნაკვერჩხლებში ჩადეთ: როგორც ყველამ გამოცდილებით იცის, პირველად მხოლოდ ეს ცეცხლში ჩადებული ბოლო გახურდება, ასე, რომ მეორე ბოლოს შეგიძლიანთ ხელი მოჰკიდოთ და ამით არა დაგიშავდებათ-რა, მაგრამ რკინას სითბო თანდათან აკვირის, მთელს სიგრძეზე მოედება და ხელიდგან გაგაგდებინებთ. აქედგან სჩანს, რომ სითბოს, სანამ ერთის თავიდგან მეორე თავამდე მივიდოდეს, ხანი უნდა, და რამდენადაც უფრო გრძელია გასახურებელი რკინა, ან სხვა რამე, იმდენად დროც მეტია საჭირო.

როდესაც მორიდგან ხის ჭრას უყურებთ, თუ ცოტაოდნავ ცნობის-მოყვარეობაცა გაქვთ, ერთი რამ მალაუნებურად დაგაფიქრებთ: თვალით ჰხედავთ, რომ ცული ხეს მოხვდა და ხაფოტი ააგდებინა, მაგრამ ხმა-კი მაშინვე არ ისმის, გავა რამდენიმე ხანი და მხოლოდ შემდეგ მოაღწევს ხოლმე თქვენს ყურამდის. ხმა ჰაერის რხევისაგან წარმოსდგება. მაშასადამე, სანამ ერთგან შეძრული ჰაერი სხვა ალაგამდის ხმას მიიტანდეს, ამასაც დრო უნდა და იმდენად უფრო მეტი დრო, რამდენადაც დიდს მანძილზე ხართ მოშორებული.

ჩააგდეთ მორევში ან ტბაში ქვა. რაც ჰაერზე ვთქვით, აქაც ის ითქმის. სადაც ქვა ჩავარდა, იმ ალაგის ირგვლივ ღელვა თანდათან უფრო და უფრო იმატებს და დიდს მანძილზედ გავრცელდება და რამდენადაც მეტი ხანი გავა, იმდენად უფრო მეტს მანძილს დაიჭერს.

აიღეთ გრძელი თოკი, ერთი წვერი ხელში დაიჭირეთ და დაიქნიეთ. თოკი გველივით დაიკლაკნება, მაგრამ ჯერ, პირველად, სადაც ხელი გიკიდიათ, იქ გაიკეთებს ზურგს, რომელიც მერე თანდათან შორს წავა და ბოლომდე მიაღწევს.

სინათლესა და ელექტრონსაც დრო უნდა ერთის ადგილიდგამ მეორე ადგილამდე მიღწევისათვის. მაგრამ ეს ორი ძალა ისეთის სისწრაფით ვრცელდება, რომ თვალს ვერ ვასწრობთ და არ შეგვიძლიან იმის შემჩნევა, რა მანძილს რამდენს ხანს გარბის.

ეს მაგალითები მიტომ დავასახელე, რომ აზროვნობა შემედარებინა მათთან. მართლაც და, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ფიქრსაც დრო უნდა. ჩვენს ტვინშიაც თანდათან ვრცელდება ხოლმე რომელიმე აზრი და გრძნობა. ყველამ იცის, თუ რა დიდი ხანია საჭირო მძიმე საქმის მოფიქრებისა და გამოწვრილვისათვის.

მაგრამ ახლა მეცნიერებამ მარტო ისიკი არ დაამტკიცა ცხადად, რომ ძნელად გამოსარკვევს საქმეს დიდის ხნის ფიქრი და დიდი თავის მტვრევა უნდაო, — ეს ხომ ყველამ იცის, — არამედ ისიც რომ უბრალო გრძნობის აღსაბეჭდავადაც რამდენიმე ხანია საჭირო. მაგალითებრ, ღამე, ბნელს ოთახში, ტილოგადაფარებულს სტოლზე მდებარე ქაღალდს რომ ხელი დაადოთ, სწრაფად ვერ მიხვდებით, ტილოა თუ ქაღალდი. ეს კიდევ არაფერი. მაშინაც რომ შეეხოთ თითებით რაიმე საგანს, როდესაც თვალით ჰხედავთ, ხელის შეხებისთანავე კი ვერ იგრძნობთ თურმე, არის თუ არა რაიმე საგანი, — არამედ წამის ერთს მეათედზედ კიდევ მეტმა ხანმა უნდა გასტანოს, სანამ რასმე გაარჩევდეთ: ხელის შეხების გრძნობაც თან-და-თან ვრცელდება ტვინის ძაფებზე და შემდეგ, როდესაც ტვინს მიაღწევს, წამის ერთი მეათედი მაინც მოუნდება, რომ მოძრაობაში მოიყვანოს. ესევე ითქმის ხედვასა, სმენასა და ყველა სხვა გრძნობაზედაც. როდესაც რაიმე საგანს ვხედავთ, ან ხმა გვესმის, ან სხვას რასმე ვგრძნობთ, მაშინაც წამის ერთი მეათედია საჭირო, რომ თვალიდგან, ყურიდგან და ან სხვა ასოდგან გავრცელებულმა მოძრაობამ ტვინი შეძრას და აგრძნობინოს ადამიანს, რასაც ჰხედავს, რაც ესმის ერთის სიტყვით, რაც საგრძნობელია.

მეორე თვისებითაც ჰგავს კიდევ აზროვნობა ყველა მოძრაობას. ყოველი მოძრაობა უთუოდ აჩენს ცოტაოდენ სითბოს მაინც. ყველამ იცის, რომ ორი ჯოხი თუ დიდხან ერთმანეთს უსვით, ცეცხლი გაჩნდება. აგრეთვე ცივი წყალი თუ დიდხანს შეანჯღრიეთ ჭურჭელში, მალე გათბება. ღვინოც თუ ნაგლეჯად არის ტიკში და ცხენით მიგაქვთ სადმე, ნამეტანის ნჯღრევით, მალე თბება და ფუჭდება. როდესაც კაცი ან ცხოველი დარბის და მოძრაობს, სიცხე ემატება, როდესაც გაჩერებულია, აკლდება, და როდესაც სძინავს, თუ გარედ ძალიან სიცხე არ არის ან ტანზე ძალიან თბილი არა ჰხურავს-რა, შესცივა; ერთის სიტყვით, სადაცკი მოძრაობაა, იქ უსათუოდ სითბოცა ჩნდება. ეს ნაირადვე უჩნდება სითბო ტვინს, როცა აზროვნობს, და უფრო ჰგრილა, როცა მოსვენებულია. ყველას გამოუცდია, რომ ფიქრის შემდეგ შუბლი უხურდება ადამიანს: ტვინის სამხურვალე შუბლამდისაც გამოაწევს ხოლმე. მაშასადამე, უჭკუო კაცზე რომ იტყვიან: „გაყინული ტვინი აქვსო“, მართალი თქმა ყოფილა.

მესამე საერთო თვისება აზროვნობისა და სხვა-და-სხვა გვარის მოძრაობისა აი რა არის: ყოველი მოძრაობა იმდენად უფრო მეტს ძალას იჩენს, რამდენადაც მეტი ალაგი უშლის. მაგალითებრ, ერთს ღერ-ბალახს რომ ცეცხლი წაუკიდოთ, სითბოს არაფერი ძალა არ ექმნება; რამდენადაც მეტს ღერს დასწვავთ ერთად, სითბოც იმდენადვე მეტი იქმნება, და თუ ერთი ზვინი თივა გადაწვით, ხომ აუარებელი სითბო გაჩნდება. თუ ორიოდე ნაკვერჩხალი ჰბჟუტავს, ზედ რომ თივა დაადოთ, ისე მალე არ აინთება, გავა რამდენიმე ხანი და მხოლოდ მაშინ მოედება ალი. ან თუ პატარა ცეცხლი ან-

---

რიგს შეუდგა. შვილებს მისწერა მოშველება. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინეს აგრეთვე სთხოვა შემწეობა. მაგრამ რუსეთიდამ შემწეობა არ მოუვიდა, რადგან 8 მაისს 1792 წელსვე ეკატერინეს გუდოვიჩისათვის (ამას ებარა რუსის ჯარი მიჯნაზედ) ებრძანებინა, რომ აწ საქართველოში ჯარების წარგზავნა საკეთილო არ არისო (Нынѣ отправлять въ Грузію войска за благо не пріемлется, უნდა დაკიცადოთ მოხერხებულ დრომდეო дондеже не откроются удобнѣйшіе къ тому случаи и обстоятельства, болѣе благопріятныя [2]).

ამასობაში ალა მაჰმად ხანმა აფრინა ერთი ნაწილი თავის ჯარისა ერევანზე, რომელიც ჯერ ისევ ერეკლეს მორჩილებდა. მაგრამ ეს ჯარი ერეკლეს ძის ალექსანდრეს მოთაოვეობით ერევნის მხედრობამ დაამარცხა და უკუ აქცია.

ალა მაჰმადი სიჩქაროდ ამხედრდა, შუშაზე გამოიარა და განჯას მოვიდა. ერეკლეც იმერეთის მეფის სოლომონის ჯარითურთ წავიდა განჯის მიჯნაზე. ალა მაჰმადი ერეკლეს მოეგება. ქართველ სარდლებს შეექმნათ თათბირი: ვიბრძოლოთ, თუ ლას არჩევდნენ. ერეკლემ-კი გამობრუნება ბრძანა. ერეკლე მოვიდა და კრწანისს გამაგრდა. ალა მაჰმადის მოწინავე ლაშქარი შემოებათ. ამ დროს ერეკლეს მცირე ჯარი ჰყავნდა. ბუტკოვის თქმით სულ 5,000 ამერელი და 2,000 იმერელი. შვილთაგან მოეშველა მხოლოდ არაგვიდამ ვახტანგი, რომელსაც სამასამდე კაცი წამოეყვანა, მაშინ როდესაც ტფილისში მოელოდნენ, რომ ყოველი ბატონიშვილი 10,000 კაცს მაინც მოაშველებს მამასაო. რა ნახეს ქალაქელებმა, რომ შველა არსაიდამ იყო, წინადვე გაიკრიფნენ ქალაქიდამ და მთებს მიაშურეს.

კრწანისის ბაღებთან შეიბნენ ერეკლეს ძე ვახტანგი და ალა მაჰმადის მოწინავე რაზმი ყარაბაღის მელიქის მეჯლუმის წინამძღოლობით. პირველსა და მეორე დღეს იბრძოლეს, მესამე დღეს იძლივნენ. ერეკლემ ძლივს მოასწრო გაქცევა. 12 ენკენისთვეს მტერი შემოვიდა ქალაქში, დასწვა, დაბუგა, გაოხრა, პირქვე დასცა, შემუსრა ყოველივე და 20 ენკენისთვეს უკანვე დაბრუნდა. [3])

ერეკლემ ხელ-და ხელ შეჰკრიბა ჯარი და განჯას მიიდა. განჯის ხანს ჯავათს ერეკლე აბრალებდა ღალატსა და ალა მაჰმადის ქალაქზე წამოყვანას. განჯას 4 თთვე ალყა შემოარტყმული ჰქონდა ქართველის ჯარებით. ბოლოს მტერი დამორჩილდა. ხანმა ერეკლეს მისცა ალა მაჰმადისაგან განჯაში დატოვებული ქართველი ტყვენი, 12 ამანათი და ყოველ წლივ 15,000 მან. ხარჯი კისრად იდვა.

ალა-მაჰმადმა ხელ-ახლა განიზრახა ერეკლეზე წამოსვლა, მაგრამ 4 ივნისს 1797 წ. შუშაში მყოფობის დროს, იგი კარავში დაჰკლეს [4]).

—

(ერეკლეს სიკვდილი)

1795 წლიდგან ერეკლე თუმცა ისევ მხნეობდა, ზრუნავდა ქვეყნისათვის და მრავალჯერ მტრები დაამარცხა, მაგრამ მაინც იგი დასუსტებული იყო. ერეკლე ხშირად ავადმყოფობდა. ყველა ამ უბედურებათა ზედ დაემატა აგრეთვე საშინელი შიმშილი, რომელსაც ადამიანის ჭირი მოჰყვა (ზოგნი ხოლერას ამბობენ). 1797 წ. ერეკლე მძიმე ავადმყოფი შეიქმნა წყალ-მანკით. სნეულებისაგან ველარც კითხულობდა და ველარც ხელს აწერდა ქაღალდებს. მიუხედავად ამისა სიტყვიერად მემკვიდრედ აღიარა გიორგი. ხოლო დარეჯანმა დაითანხმა, რომ გიორგის შემდეგ მემკვიდრეობა გადასულიყო მის შვილ იულონზე. შეწუხებულმა მეფემ სიტყვიერადვე ნება დართო. მიუხედავად ამისა ალექსანდრე ბატონიშვილი და ფარნაოზი მეფის ნების წინააღმდეგნი გაჰხდნენ; ალექსანდრემ ხმა დაჰყარა, რომ მამის სიკვდილის შემდეგ დავიპყრობ ტფილისს და ქართლის მეფედ შევიქნებიო. [5])

11 იანვარს 1788 წელს ერეკლე აღესრულა თავის თელავის სასახლეში. მისი გვამი ორკეც ხის კუბოში ჩასდვეს და თელავის მონასტერში შეასვენეს. ამ დროს თელავში იმყოფებოდა დარეჯანი, ვახტანგი, ანტონი კათოლიკოსი (ერეკლეს ძე). სხვა შვილები-კი სხვა-და-სხვა მხარეს იყვნენ: მემკვიდრე გიორგი ქიზიყში, იულონი და ფარნაოზი გორში, ალექსანდრე ბორჩალოში, მირიანი რუსეთში.

რა წამს გიორგიმ სცნო მამის გარდაცვალების ამბავი, მაშინვე გამოაცხადა თვისი გამეფება. ქიზიყელებმა იგი აღიარეს მეფედ. აქედგან გიორგი წავიდა ყაზახ-ბორჩალოში ძმის შესაპყრობად, მაგრამ ალექსანდრემ გაასწრო და წავიდა დუშეთს. გიორგიმ აქაც გამოაცხადა თვისი გამეფება, დაითანხმა ხალხი და გორს წავიდა, თავად-აზნაურნი და ხალხი შემოიფიცა.

ამასობაში დარეჯან დედოფალმა შეადგინა ქაღალდი, ხელი მოაწერინა თავის იქ მყოფ შვილებსაც და თავადებსაც შესახებ იმისა, რომ დედოფალი დარეჯან ეკლესიებში იხსენიებოდეს გიორგიზე უწინარეს და აგრეთვე მმართველობაშიაც მონაწილეობა ჰქონდესო. ეს ქაღალდი გიორგის წარუგზავნეს. ეს იყო ერეკლეს გარდაცვალების მესამე კვირას. ამ კინკლაობასა და ცილობაში რომ იყვნენ დედოფალი და ბატონიშვილნი, ერეკლეს გვამი 6 კვირა დაუმარხავი დარჩა. ამასობაში გიორგი თელავშიაც მოვიდა და თავის გამეფება გამოაცხადა.

[2]) ბუტკოვი, ტ. II, გვ. 334.

[3]) იხ. ბუტკოვი, ტ. II, გვ. 338—339.

ქალაქის აღების ამბავი აგრეთვე იხ. ჩუბინაშვილის ქრისტომატიაში, გვ. 175—197.

[4]) ბუტკოვი, ტ. II, გვ. 430.

[5]) ბუტკოვი, ტ. II, გვ. 438.

თია, ზედ რომ გამხმარი შეშის ფიჩხი დააყაროთ, ისე მალე არ მოეკიდება ცეცხლი; კვერცხი რომ პატარა ცეცხლის შორი-ახლო დასდოთ, კარგა ხანამდე არ შეიწვის. პირ-იქით, როცა მთელს ზვინს თავს უკიდია ცეცხლი, თითოეული ბალახის-ღერი მაშინ უფრო დიდს ალ-მურშია ჩავარდნილი და ამიტომ უფრო მალე იწვის და იქცევა ნაცრად; გახურებულ საკირეში რაც უნდა დიდი შეშა ჩააგდოთ, იმ წამსვე დაიბუგება. ამისი მიზეზი ის არის, რომ თითოეულს ანთებულს ბალახის-ღერს ანუ შეშას ყველა სხვა ანთებულის ღერისა ანუ შეშისაგან ედება სიმხურვალე და ამიტომ ერთი-ათასად ემატება სითბო.

რაც სითბოზე ვსთქვით, იგივე ითქმის ელექტრონზე, უბრალო ძალასა და საზოგადოდ ყოველ-გვარ მოძრაობაზე. ადგილის უქონლობა ნებას არ გვაძლევს სხვა და-სხვა ფრიად საინტერესო მაგალითი დავასახელოთ და მხოლოდ ტვინის მოძრაობას უნდა დავუბრუნდეთ.

თუ მდუღარე წყალში მარტო თითი ჩაჰყავით, იმდენად ვერაფერს ტკივილს იგრძნობთ, და თუ მთელი ხელი, მაშინ ტკივილი ძალიან იმატებს. მაშასადამე, რამდენადაც მეტია ის ნაწილი სხეულისა, რომლის ნაგრძნობსაც ტვინი იმჩნევს, იმდენად მეტსა ჰგრძნობს, ანუ მეტად მოძრაობს ტვინის თითოეული ნაწილი. აგრეთვე რაც უფრო დიდი და განიერია, მაგალითებრ, შავი, წითელი, ყვითელი, ან რა ფერიც უნდა იყოს ჩითი, ან სხვა რამე, მით უფრო შავად, წითლად, ყვითლად და სხვად გვეჩვენება.

# დღეში

2 ივნისი

ასხაბადი. აქ ამიერიდგან დაიბეჭდება ახალი გაზეთი „Закаспійскій Край“, რომელსაც არა ოფიციალური განყოფილებაც ექმნება.

ბერლინი. ვილჰელმს, რუსეთში მოგზაურობის დროს, თან ეყოლება ახალი სახელმწიფო კინცლერი კაპრივი.

ის გარემოება, რომ იმპერატორმა ვილჰელმა ჰნახოს ავსტრიის იმპერატორი, უკვე ორი თვეა გადაწყვეტილია.

ვენა. სამხედრო საქმეთა ხარჯს, რომელიც ყოველ წელს უფრო და უფრო დიდდება, საზოგადოებაში თანაგრძნობით არ ეკიდებიან, განსაკუთრებით ვენგრიაში.

3 ივნისი

პეტერბურგი. გუშინ საპატიმროს კონგრესის წევრნი იყვნენ კონგრესის თავმჯდომარე პრინც ოლდენბურგისას და შინაგან საქმეთა მინისტრთან. მომავალ კვირას საზამთრო სასახლეში კონგრესის წევრთათვის დიდი სადილი იქნება გამართული.

«Гражданинъ»-ს გაუგონია, რომ იმპერატორს ვილჰელმს ჰსურს კრასნოე-სელოს დიდს ალლუმზედ თითონვე ექმნას უფროსად თავისს ვიბორგის პოლკსა.

«Новости» იუწყება, რომ განზრახულია მომავალ სამოსწავლო წლიდგან დაარსებულ იქმნას შუათანა სატეხნიკო და სამრეწველო სასწავლებლები: ეკატერინოსლავში, პეტროზავოდსკში, ყაზანს, ზლატოუსტს და ჩერნიგოვის მაზრის დაბა კლინცში. ამ სასწავლებლების დასაარსებლის ხარჯის მცირეოდენი ნაწილი თვით იმ ადგილის სათემო და საზოგადო დაწესებულებათაც უნდა იკისრონ, სადაც იგი იქმნება გამართული. ამ სამრეწველო სასწავლებელთა გარდა, აღნიშნულია აგრეთვე რამდენიმე ქალაქი, სადაც პროგიმნაზია და სახელოსნო სასწავლებელი მდაბალ სატეხნიკო და სამრეწველო სასწავლებლად იქმნება გადაკეთებული.

„Нов. Время“ იუწყება, რომ პეშკოვს ნება მიეცა სამის თვეით კიდევ დათხოვნილ იქმნას სამსახურიდგანაო. ამ სამს თვეში იგი იერუსალიმს აპირებს წასვლას. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ, პეშკოვი გამწესებულ იქმნება კავალერიის საოფიცრო სასწავლებელში $1^1/_2$ წლით.

სამარყანდი. გაზ. „Окраина“ ამბობს, რომ ტაშკენტში კიდევ რამდენიმე კაცი გახდა ავად ხოლერით და რომ ამ ჭირთან ამ თავითვე საბრძოლველად 18,000 მან. გადადებულიაო.

პარიჟი. მთავრობამ გადასწყვიტა ოფიციალურად კანონიერად ჩასთვალოს აწინდელი დროებითი მთავრობა ბრაზილიის რესპუბლიკისა.

კანეა. ერთის ოსმალელ მაიორის მიერ ქრისტიანეთა მოკვლის გამო აპოკორონში სისხლის-მღვრელი შეტაკება იყო: სოფლის მკვიდრნი შეიარაღდნენ, ჯარი გაჰფანტეს და მეამბოხეთა მთელი რაზმი შეადგინეს, ამ ამბავმა კუნძულზედ დიდად აალელვა ხალხი.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ივნისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 92 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | $138^1/_4$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | $1, 08^1/_2$ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $235^1/_2$ |
| —მეორისა . . . . . | 215 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | — „ | — „ | $214^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | $99^1/_2$ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | $99^1/_4$ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | $86^3/_4$ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე გაკვასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

# განცხადებანი


ტფილისის საქალაქო გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1890 წლის 20 ივნისს, დილის 12 საათზედ, ამ გამგეობის სადგომში საჯარო ვაჭრობა იქნება და იჯარით გაიცემა სამის წლით 1891 წ. 1 იანვრიდგან ნაწილი მიწისა ზომით 506 ოთხ-კუთხი საჟ., რომელიც იმყოფება ქალაქის მეცხრე ნაწილში, ვორონცოვის წყლის სანაპიროზედ, თ. ერისთავის სახლს პირდაპირ. პირობათა დაწერილებით შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა - უქმეს გარდა. (3—2)

ვექილი სასამართლო საქმეებისათვის პლატონ ალმასხანის ძე ბერიძე (ცხოვრობს ოზურგეთში, საკუთარ სახლში) იღებს ხელ ახლა ყოველ დღე ამ თვეიდგან მოსალაპარაკებლად დილიდგან საღამომდე.

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—6)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ - მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე დამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—6)

კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ვნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106. (208—17)

კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმან ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური სანიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, სარეში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—27)